



კასპოპა — 2016

## „...ყოველთვის ჩვენი“

გვ3-4-5.

### დაჯილდოება კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობაში

გვ2.



გამგეობაში კასპის რესურსფექტური და სუფთა წარმოების კლუბის წევრი საწარმოების სერტიფიკატებით დაჯილდოება გაიმართა. კასპის 7 ადგილობრივი საწარმო აქტიურად იყო ჩართული, რესურსფექტური და სუფთა წარმოების სადემონსტრაციო პროექტში, რომლის მიზანია მწვანე ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა ადგილობრივი ველოსტრუქტურის პარტნიორ ქვეყნებში და წარმოადგენს ევროკავშირის რე-

გიონული პროგრამის ნაწილს. რესურსფექტური და სუფთა წარმოების კლუბების კომპონენტის კოორდინატორმა ნიკოლოზ ჯაფარიძემ გააცნო რესურსფექტური და სუფთა წარმოების მეთოდოლოგიით შემუშავებული რესურსფექტური და სუფთა წარმოების სამოქმედო გეგმები, რომლებიც შემუშავდა კლუბის წევრი საწარმოებისათვის და ისაუბრა საწარმოების მიღწევებზე. რესურსფექტური და სუფთა წარმოების პროექტის კოორდინატორმა სა-

ქართველოში მალხაზ ადეიშვილმა კასპის რესურსფექტური და სუფთა წარმოების კლუბის წევრ 7 საწარმოს გადასცა გაეროს ინდუსტრიული განვითარების ორგანიზაციის სერტიფიკატები. რესურსფექტური და სუფთა წარმოების სამოქმედო გეგმების განხორციელებით საწარმოები დაზოგავენ ენერგორესურსებს, წყალსა და ნედლეულს, აამაღლებენ წარმოების პროდუქტიულობას, შეამცირებენ გარემოსა და ადამიანების ჯანმდასასრული გვ-2.

## მარჯობა ქართველთა, მიერთ-ბითოლოგური სახ'ნომო "ჯეოთექნიკა"



საქართველო სპრემიერ-მინისტრმა გიორგი კვიციანიშვილმა კასპში მაღალტექნოლოგიური, მიკრობიოლოგიური საწარმო "ჯეოთექნიკა" დაათვალიერა, რომელიც ეკოლოგიურად სუფთა ბაქტერიულ, ჰუმინურ, ორგანო-მინერალურ სასუქებს აწარმოებს. საწარმო აღჭურვილია ულტრათანამედროვე მანქანა-დანადგარებით და საწარმოო ხაზებით. "მინერალური და ქიმიური სასუქების გამოყენება დიდი პრობლემაა, ხდება ნიადაგის გამოფიტვა, ბინძურდება გარემო და რაც ყველაზე ცუდია, ჩვენ ვიკვებებით იმ საკვებით, რომელიც ამ ყველაფერს შეიცავს. აქ წარმოებული

პროდუქცია კი არის ბიოლოგიურად სუფთა. საქართველოში, ექსპორტისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის არის ის, რომ ჩვენ დავიმკვიდროთ ბიოლოგიურად და ორგანულად სუფთა პროდუქციის მწარმოებელი ქვეყნის იმიჯი. ეს არის კარგი მაგალითი, თუ როგორ შეიძლება ახალმა ტექნოლოგიებმა და ქართველმა მეცნიერებმა შექმნან საწარმო, რომელიც სრულიად ახალი სიტყვაა სოფლის მეურნეობის განვითარებაში" - განაცხადა სპრემიერ-მინისტრმა. გიორგი კვიციანიშვილის შეფასებით, ადგილობრივი მეცნიერების მონაწილეობით შექმნილი დანადგარები, რომლითაც აღჭურვილია საწარმო, იმპორტის

შემთხვევაში 25-30 მილიონი აშშ დოლარი დაჯდება, მაშინ როდესაც ეს დაახლოებით 7 მილიონი დოლარის ინვესტიციით გახდა შესაძლებელი. საწარმო დაფინანსებულია ბანკი "ქართუს" მიერ. წარმოებული პროდუქცია ზრდის პროდუქტიულობას და არ აბინძურებს გარემოს, ახდენს ნიადაგის აღდგენას. საწარმოში ამჟამად 120 ადამიანი მუშაობს, თუმცა ქარხნის სრული დატვირთვით ამოქმედების შემდეგ დასაქმებული რაოდენობა გაორმაგდება. სპრემიერ-მინისტრი მოხარულია, რომ საწარმოში ადგილობრივი მოსახლეობა დასაქმდა.



### საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი კასპში



კასპში საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ტარიელ ხეჩიკაშვილი იმყოფებოდა. მინისტრმა შიდა ქართლის მხარის გუბერნატორის მოვალეობის შემსრულებელ იოსებ

მა პატარა ფეხბურთელები სპორტული ინვენტარით, ფეხბურთის ფორმებით დაასაჩუქრა და წარმატებები უსურვა. სტუმრები მუნიციპალიტეტში მიმდინარე მინიფეხბურთის ტურნირის ფინალურ თამაშს



ოქრომელიძესთან ერთად მშენებარე სპორტული კომპლექსი დაათვალიერა, შემდეგ ფეხბურთის სპეციალიზებულ სკოლას ეწვია და სკოლის აღსაზრდელებს და პედაგოგებს შეხვდა.

დაესწრნენ. ტარიელ ხეჩიკაშვილმა, იოსებ ოქრომელიძემ და გოჩა გოჩიტაშვილმა პირველ, მეორე და მესამე ადგილზე გასულ გუნდებს: "ქეჩარუსს," "ცსკ"-ს და "გერეებისუბანს" თასი და სახელობითი პრიზები გადასცეს.

ტარიელ ხეჩიკაშვილ-

### ახალქალაქი სასაბავშვო სკოლის მშენებლობის პროექტი ხორციელდება

კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა გოჩიტაშვილმა ახალქალაქის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალი გაერთიანებული სოფლების სასაბავშვო სკოლის მშენებლობის პროექტის სასაბავშვო სკოლის მშენებლობის მოწყობის სამუშაოების მიმდინარეობა ადგილზე დაათვალიერა.

პროექტი ითვალისწინებს სათავე - ნაგებობის წყალმომარაგების დრენაჟის მოწყობას, 200 გრძივი მეტრი მაგ-

ისტრალური მილსადენის სამონტაჟო სამუშაოებს, სანიტარული ზონის სათავე - ნაგებობის შემოღობვას. სამუშაოებს მშენებელი შპს "გაზტექმშენი" ახორციელებს და ღირებულება 69 387 ლარია.

შესრულებული სამუშაოს გარანტია 2 წელია. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, შემსყიდველის მიერ შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი განახორციელებს.



### ქალაქის ინფრასტრუქტურული საუბაოები

საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე თენგიზ შერგელაშვილი და შიდა ქართლის მხარის გუბერნატორის მოადგილე ამირან შავშიშვილი კასპში იმყოფებოდნენ. მათ რეგიონალური განვითარების ფონდიდან დაფინანსებული და რეაბილიტირებული ობიექტები: ქალაქის №1, №2, №3 საბავშვო ბაღები, პატარა, კოჯრის, თავისუფლების და გრიშაშვილის ქუჩები დაათვალიერეს.



ქალაქ კასპში №2 და №3 საბავშვო ბავშვთა სახეიმოდ გაიხსნა. საბავშვო ბაღებში სრული სარეაბილიტაციო სამუშაოები განხორციელდა და ნაწილობრივ ახალი ინვენტარით აღიჭურვა.

საბავშვო ბაღების გახსნას ესწრებოდნენ შიდა ქართლის მხარის გუბერნატორის მოვალეობის შემსრულებელი იოსებ ოქრომელიძე, მისი მოადგილე ამირან შავშიშვილი და კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელი გოჩა გოჩიტაშვილი.

12 სექტემბერს №1 საბავშვო ბავშვთა სახეიმოდ ანალოგიური სამუშაოები უკვე ჩატარდა - დაარსებიდან 50 წლისთაგზე სახეიმოდ გაიხსნა.

სამივე ბავშვთა სახეიმოდ გაუუმჯობესდა 500 ალსაზრდელს, 70 პედაგოგსა და მომსახურე პერსონალს. პედაგოგებმა და მშობლებმა, განახ-

### რეაბილიტირებული №2 და №3 საბავშვო ბავშვთა სახეიმოდ გაიხსნა



ლებულ შენობებსა და მომავალ თაობაზე ზრუნვისათვის საქართველოს რეგიონალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას მადლობა გადაუხადეს.

სამივე შენობის სრული სარეაბილიტაციო სამუშაოების ღირებულება 706 130 ლარია.



### დაჯილდოება კასპის მუნიციპალიტეტის გამგებთან

დასასრული. დასაწყისი გვირთელობაზე უარყოფით ზემოქმედებას, გაზრდიან ფინანსურ მოვებას და შესაბამისობაში მოვლენ საკანონმდებლო მოთხოვნებთან.

პროექტის კოორდინატორმა კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელს გოჩა გოჩიტაშვილს მადლობა გადაუხადა თანამშრომლობისათვის.

დალი კორკომაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის გამგების ადმინისტრაციული სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

### ჯანსაღი სხოვარებისათვის

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ მიკრორაიონის დასახლებაში სპორტული სავარჯიშო მოწყობილობები დაამონტაჟა.

გამოიწერეთ ..ახალი განთავსი..!

### “...ყოველივეს ჩაქოვო”

შემოდგომის სურნელითა და ლამაზი ფერებით დაშვენებული შეზდა ჩვენი ქალაქის ცენტრი სახალხო დღესასწაულზე მოსულ უამრავ სტუმარს, დიან, პირველ ოქტომბერს კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის, საკრებულოს ინიციატივითა და მხარდაჭერით, მუნიციპალიტეტის კულტურის სამსახურის ორგანიზებით წელსაც გაიმართა ხალხმრავალი დღესასწაული “კასპობა — 2016”...

საკაპის მოედანი, მიმდებარე ტერიტორია ხალხს ძლივს იტევდა. აქ, დილაადრიან მოიყარა თავი დიდ-პატარამ, ყველას ხიბლავდა თვალსაჩინო ადგილას, საცხოვრებელი კორპუსის კედელზე საგანგებოდ გამოფენილი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული კულტურისა და ისტორიის ამსახველი უშველებელი ბანერი. ნაირ-ნაირი ხილითა თუ ნობათით, ათასგვარი ნუბარით დახუნძლული იმიტირებული, ტიპური ქართლური, მინიატურული სოფლები მასპინძლობდნენ მნახველს, თავს აწონებდნენ კასპობის სტუმრებსა და მასპინძლებს, მოკლედ, აქ იყო წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის ყველა ადმინისტრაციული ერთეული... მართო სოფლების მშრომელები კი არა, ზემოთ მოვიდნენ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სააქციო საზოგადოების წარმომადგენლები, ინდემწარმეები, რომლებმაც საჩვენებლად გამოფინეს თავიანთი პროდუქცია.

არნახული საზეიმო განწყობა და ხალისი იგრძნობოდა სკვერის სიახლოვეს მოწყობილ გასართობ ატრაქციონებთან და ბავშვებისათვის სახელდახელოდ მოწყობილ მინიატურულ “რკინიგზის სადგურთან”, ერთი სიტყვით, ამ პატარა ტერიტორიაზე ერთდროულად იმდენი გასართობი, მუსიკალური თუ სპორტული კუთხე “უხმოდა” სტუმარ-მასპინძელს, რომ გასაკვირი არ იქნება, თუ დღესასწაულის ბევრმა მონაწილემ ვერც კი მოასწრო ამ სანახაობის დათვალიერება... შთამბეჭდავი იყო იმპროვიზებული და კოსტუმირებული, თეატრალიზებული მსვლელობა, რომლითაც ყველა, დიდი თუ პატარა ხალისობდა. თვალს მოგტაცებდათ თექის, წნულებისა და ხალხური ნიმუშების გამოფენა-დათვალიერება. ერთგვარი სიახლე, მეტიც, ნამდვილი სიურპრიზი აღმოჩნდა აქაურებისათვის და არა მხოლოდ მათთვის, მორთულ მოედანზე მფრინავი გადამღები აპარატის /დრონი/ გამოჩენა, სხვათა შორის, ქართველმა მაყურებელმა მისი ნახვით კარგა ხანია გული იჯერა სატელევიზიო სარეკლამო რგოლში. სახალხო დღესასწაულს მართლა ძალიან მოუხდა, გაალამაზა აქაურობა დედაქალაქიდან მოპატიჟებულმა მედლეტკეთა ანსამბლმა და მეარღნემ, რომელთაც სამახსოვრო ფოტოებს იღებდნენ თავგადასავლების მოყვარული ახალგაზრდები, კასპობის სტუმრები...

სახალხო დღესასწაულს სტუმრობდნენ შიდა ქართლის გუბერნატორის მოვალეობის შემსრულებელი იოსებ ოქრომელიძე და მისი მოადგილეები ამირან შავშიშვილი, დავით ჯოლობორდი, რომლებმაც მუნიციპალიტეტის გამგებელთან გოჩა გოჩიტაშვილთან ერთად გულდასმით დაათვალიერეს ქალაქში ადგილობრივი და განახლებული ინფრასტრუქტურა, გაესაუბრნენ ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლებს და გულითადად მიულოცეს ქალაქის დღესასწაული. სამთავრობო წარმომადგენლებს შეუერთდნენ საეკლესიო პირები, აქ ბრძანდებოდა სამთავისი-კასპის ეპარქიის ეპისკოპოსი მეუფე დამიანე, რომელმაც დალოცა მრევლი, დღესასწაული მიულოცა რაიონის მოსახლეობას.

— საამაყო ისტორიული წარსულითა და მდიდარი კულტურული მემკვიდრეობით გამორჩეული კასპის რაიონი ყოველთვის თავს იწონებდა მეცნიერების, ხელოვნებისა და საზოგადო მოღვაწეებით განთქმული ადამიანებით, — განაცხადა დღესასწაულზე სიტყვით გამოსვლისას მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა გოჩიტაშვილმა, — დიან, მასპინძლობითა და მოყვასისადმი თანადგომით ცნობილი ჩვენი პატარა რეგიონი, ჩვენი მოსახლეობა მართლაც რომ იმსახურებს დაფასებას და პატივისცემას, განსაკუთრებულ მზრუნველობასა და გამხნევებას, ამიტომ, ერთმნიშვნელოვნად შემოიძლია განვაცხადო, რომ დღევანდელი დღე — სწორედ ამის თვალსაჩინო მაგალითია და მჯერა, სამომავლოდ \*გავრძელება გვჭირდება.



# “...ყოველთვის ჩასვართ”

**\*გაგრძელება გვ4.**

“კასპობა” კიდევ უფრო მასშტაბური გახდება და ტრადიციად დამკვიდრდება.

სწორედ კასპობის დღესასწაულს დაემთხვა 2016 წლის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებისა და გიმნაზიის წარმატებული კურსდამთავრებულების დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი. კასპის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა რუსუდან მიგრაიულმა საზოგადოებას წარუდგინა საამაყო მოსწავლეები, ამჯერად უკვე სტუდენტები, რომლებმაც ასახელეს ჩვენი კუთხე, ესენი არიან: ლევან გივილაშვილი, ოქროს მედალოსანი /კასპის მეორე საჯარო სკოლა/, მიილო ასპროცენტაიანი დაფინანსება; ლევან შაქარაშვილი, ოქროს მედალოსანი /დოესის საჯარო სკოლა/, მიილო ასპროცენტაიანი დაფინანსება; ცირა ჯანანაშვილი, ვერცხლის მედალოსანი /ხოვლის საჯარო სკოლა/, მიილო ასპროცენტაიანი დაფინანსება; ევგენია აღიმბარაშვილი, ვერცხლის მედალოსანი /ხოვლის საჯარო სკოლა/, მიილო ასპროცენტაიანი დაფინანსება; ესმა პაპინაშვილი /ხოვლის საჯარო სკოლა/, მედალი არ მიუღია, მაგრამ მიილო ასპროცენტაიანი დაფინანსება; მარიამ ხეჩიკაშვილი, /დოესის საჯარო სკოლა/, ვერცხლის მედალოსანი; ლიკა ჯანანაშვილი /დოესის საჯარო სკოლა/, ვერცხლის მედალოსანი; თეონა ბერიანიძე, ოქროს მედალოსანი, /ოკმის საჯარო სკოლა/, 50-პროცენტაიანი დაფინანსება; ეკა ონეზაშვილი, ოქროს მედალოსანი /სასირეთის საჯარო სკოლა/; ქეთევან ლაფაჩი, ოქროს მედალოსანი /სასირეთის საჯარო სკოლა/, 70-პროცენტაიანი დაფინანსება; მირანდა ბიჭიკაშვილი, ვერცხლის მედალოსანი /სასირეთის საჯარო სკოლა/; თინა ოქროპირიძე, ვერცხლის მედალოსანი /ქვემო ჭალის საჯარო სკოლა/, 70-პროცენტაიანი დაფინანსება; ვახტანგ პავლიაშვილი, /კასპის მრავალპროფილიანი სკოლა-გიმნაზია/, მედალი არა, მაგრამ მიილო ასპროცენტაიანი სახელმწიფო დაფინანსება.

სახალხო დღესასწაულის მნიშვნელოვანი ნაწილი გახლდათ მრავალფეროვანი გალა-კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ როგორც ადგილობრივი ფოლკლორული ჯგუფები, მოცეკვავეები და მომღერლები, ასევე სპეციალურად თბილისიდან მოწვეული ოპერისა და ესტრადის ცნობილი სახეები, თეატრალური... ამჯერად შედგა სიმღერის პრემიერა, მუნიციპალიტეტთან არსებულმა ანსამბლმა “მოურავი” (ლოტბარი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გივი ბახტაძე) დღესასწაულის მონაწილეებს წარუდგინა /რომან ზუკაკიშვილის მიერ პატრიოტულ თემაზე შექმნილი ლექსის მიხედვით/ კომპოზიტორ ვაჟა ღურგლიშვილის “სიმღერა კასპზე.”

კონცერტის მშვენება გახლდათ ომარ კელაპტრიშვილის თაოსნობით დაარსებული ფოლკლორული ანსამბლის (“კელაპტარი”) გამოსვლა. მონატრებული კასპელი საზოგადოება სიხარულით შეხვდა თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის მომღერალს ტარიელ ჭიჭინაძეს, რომელმაც დღესასწაული მიულოცა თანაქალაქელებს და მათთვის საოპერო ნომერიც შეასრულა...

სცენაზე გამოვიდა ქართული ესტრადის ცნობილი მომღერალი ეკა კვალაიაშვილი, რომელმაც დიდი მარო თარხნიშვილის ლეგენდარული “ურმულის” ფონზე შეასრულა ყველასათვის ცნობილი “მუხამბაზი”. დღესასწაულის მონაწილეებს მიესალმა თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სოლისტი ზაზა ზაალიშვილი, რომელმაც რამდენიმე მუსიკალური ნომერიც მიუძღვნა მაყურებელს. ორიგინალურად გამოვიდა მაყურებელთა წინაშე რუსთავის გიგა ლორთქიფანიძის სახელობის თეატრის მსახიობი, ზემო ხანდაკის მკვიდრი ეკა ქვრივიშვილი, რომელმაც საკუთარი ლექსი წაუკითხა აქაურებს.

კონცერტის მიმდინარეობისას მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ: კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე მანუჩარ მერებაშვილი, გაზეთ “ახალი განთიადის” რედაქტორი ნანა მერებაშვილი, პროფესორი ექიმი, ამჟამად წალკაში მოღვაწე პედიატრი კასპელი მარინა ბერიანიძე, იურიდი

**\*დასასრული გვ5.**





# “...ყოველთვის ჩავსაქო”

**\*დასასრული ვაწ.**

ულ მეცნიერებათა დოქტორი ირმა მერებაშვილი... მილოცვებსა და მისაღმებას ენაცვლებოდა საკონცერტო ნომრები, გამოვიდნენ ქორეოგრაფიული ანსამბლები: “იმედი” /ხელმძღვანელები: იზაბელა და ინგა თაბუკაშვილები/, “რკინი” /ხელმძღვანელები: მაკა დათაშვილი და ნუკრი საბიაშვილი/, “ქორეოლოგია” /ხელმძღვანელი ხათუნა გაგაძე/, “სხვილო” /ხელმძღვანელი ნინო პავლიაშვილი/, “მეტეხი” /ხელმძღვანელი ცისანა დარჩიაშვილი /, მღეროდა ქართულ ხალხურ საკრავთა ანსამბლი /ხელმძღვანელი ბიჭიკო ღურგლიშვილი/ “თხოთი”, კონცერტში მონაწილეობდნენ ინდივიდუალური შემსრულებლები და მომღერლები: “მოურავის” სოლისტი დიმიტრი მჭედლიშვილი, ქალაქის კულტურის ცენტრის დირექტორი ზაზა მენაბდიშვილი, თათია ხორგუაშვილი, ხათუნა ტყემალაძე.

სახალხო დღესასწაულის ძირითადი საკონცერტო პროგრამა დაასრულა ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა “დიდგორმა” (ხელმძღვანელი ქეთევან მონასელიძე, მთავარი ქორეოგრაფი მარინა რუსიშვილი, ქორეოგრაფები დარინა პაპაშვილი და სოსო ღვინიაშვილი) ცეკვით “ჩენური”, შემდეგ კი, სააკაძის მოედანზე დიდხანს ისმოდა ელექტრონული მუსიკა, იყო საერთო განცხრომა, აქტიურობდნენ ახალგაზრდები, მათთან ერთად იღხენდნენ უფროსი თაობის ადამიანებიც, მოპატიუებული სტუმრები... არადა, “კასპობის” ყველაზე დრამატუზებული ნაწილი, დღესასწაულის ბოლო აკორდი, სწორედ რომ ისტორიული მომენტი ელოდა დღის ბოლოს ზეიმის მონაწილეებს, მოწვეულ სტუმრებს... გალა-კონცერტის (ორგანიზატორი კულტურის სამსახურის ხელმძღვანელი თეა ხორბალაძე) წამყვანებმა ლიანა მენაბდიშვილმა, სალომე მუხიგულაშვილმა და თათია ცინცაძემ საზოგადოებას სიამაყით ამცნეს ჩვენი ქალაქის არსებობის ისტორიაში ფრიად საყურადღებო პრეცედენტის შესახებ, საქმე ის გახლავთ, რომ ამერიიდან ქალაქის კულტურის სახლის შესასვლელს /იქ, სადაც ომარ კელაპტრიშვილის ბიუსტია აღმართული/ დაამშვენებს საქართველოს სასიქადულო მამულიშვილის, აღიარებული ხელოვანის, ჩვენი თანამემამულის თენგიზ ზაალიშვილის ვარსკვლავი... საზოგადოებას შეგახსენებთ მისი ბიოგრაფიის მოკლე შტრიხებს, მაშ ასე, თენგიზ ზაალიშვილმა 1957 წელს დაამთავრა ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია. კონსერვატორიის დამთავრებიდან ერთი წლის შემდეგ ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე შედგა მისი დებიუტი... მაყურებელი იმთავითვე მოიხიბლა საოპერო მომღერლის (ალფრედი, ჯუზეპე ვერდის “ტრაფიატა”, ლირიული ტენორი) ხმის უებრო ტემბრითა და საშემსრულებლო ხელოვნებით. მას შესრულებული აქვს მრავალი წამყვანი პარტია ქართველ, იტალიელ, რუს და სხვა კომპოზიტორთა ოპერებში. წლების განმავლობაში ბატონი თენგიზი ეწეოდა ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას, კონცერტები აქვს გამართული საზღვარგარეთის ქვეყნებში, იყო ხალხური ანსამბლ “ფიროსმანის” სოლისტი, სწორედ ამ ანსამბლთან ერთად შემოიარა ევროპის მრავალი ქვეყანა, ამერიკის შეერთებული შტატები. საგულისხმო გახლავთ ის ფაქტიც, რომ “ფიროსმანის” წევრებთან ერთად თენგიზ ზაალიშვილი არჩეულია ქალაქ ატლანტის საპატიო მოქალაქედ...

უემოციოდ არ ჩაუვლია ვარსკვლავის გახსნის დაუვიწყარ ცერემონიალს, იყო მქუხარე აპლოდისმენტები, გულწრფელი განცდა, შეკრებილი საზოგადოება, მათ შორის უფროსი ასაკის ადამიანები კმაყოფილებით სკანდირებდნენ, თვალზე ცრემლმომდგარი ისმენდნენ თენგიზ ზაალიშვილის მიერ შესრულებულ საოპერო შედევრს, დახ, მთელ ქალაქში ისმოდა ზაქარია ფალიაშვილის უკვდავი “თავო ჩემო”... დაბოლოს, მსცოვანმა მომღერალმა ასეთი პატივისცემისა და დაფასებისათვის გულწრფელი მადლობა გადაუხადა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს.

სახალხო დღესასწაული “კასპობა - 2016” ლამაზი და მიმზიდველი ფეიერვერკით დასრულდა...

კასპის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებების გაერთიანება.



# “მამულთ, სიტყვებზე”

სამშობლოს სიყვარულს და ერთგულებას შეხსენება არ სჭირდება, მაგრამ არის დღე, რომელიც შეუხორცებელ ჭრილობად გვექცა ქართველებს - 27 სექტემბერი, სოხუმის დაცემის დღე...

აფხაზეთის ომმა /1992 - 1993/, რომელიც საქართველოს სამთავრობო ჯარებსა და სეპარატისტულად განწყობილ

მეომრები, რომელთაც არაოფიციალურად მხარს უმაგრებდა რუსეთის სამხედრო ბაზის გარნიზონი გუდაუთაში.

კონფლიქტის შედეგად დაიღუპა 30 ათასამდე ეთნიკური ქართველი, ხოლო სამასობით ათასამდე ადამიანი ლტოლვილად იქცა საერთაშორისო ქვეყანაში...

ყოველი წლის 27 სექტემბერს, სოხუმის

წელსაც კასპში, ცენტრალურ მოედანზე, იქ, სადაც აღმართულია თავგანწირულ მამულიშვილთა ობელისკი შეიკრიბნენ ომისა და შრომის ვეტერანები, აფხაზეთის ომში დაღუპულთა ოჯახების შვილები და შვილიშვილები, ახლობლები, აქ, იმყოფებოდნენ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები და სასულიერო პირები, მოსწავ-



სახელობის კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში გადინაცვლა, სადაც გაიმართა სოხუმის დაცემის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება სახელწოდებით “გვანსოვდეს აფხაზეთი...”

ღონისძიების ორგანიზატორი გახლდათ კასპის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანება და კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, ღონისძიებაში მონაწილეობდნენ მუნიციპალიტეტის სახელმძღვანელოების სკოლების გაერთიანებასთან არსებული მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ისტორიამხარეთმცოდნეობის წრის მოსწავლეები, საინფორმაციო მხარდაჭერის გაზეთი “ახალი განთიადი.”

მუზეუმის საგამოფენო დარბაზში წარმოდგენილი იყო ომის თემაზე შექმნილი ფოტომასალა, რომელსაც ინტერესით ეცნობოდა შეკრებილი დამსწრე საზოგადოება, უფრო ყურადღებით გახლდათ სპეციალურად ამ დღისთვის საგანგებოდ მომზადებული აფხაზეთში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებების ამსახველი ვიდეო-კოლაჟი, მის ჩვენებაზე ბევრჯერ გაიჟღერა საქართველოს ეროვნული გვარდიის კასპის ბატალიონის პირველი მეთაურის ტარიელ შარიფაშვილის სახეობა, მან თავის მრავალ თანამებრძოლთან ერთად ქვეყნის დამოუკიდებლობას შესწირა სიცოცხლე...

ამ სეკდანარეგ შეხვედრას რაღაცნაირად, ერთგვარი სულისკვეთება და პათოსი შესძინა მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის /ისტორიამხარეთმცოდნეობის წრის პედაგოგი ნანა მერებაშვილი / ბავშვების მონაწილეობამ. მოსწავლეებმა გაითამაშეს რამდენიმე წუთიანი სანახაობრივი ელემენტების შემცველი პატარა წარმოდგენა, სადაც გამოყენებული იყო ამონარიდები პროფესორ მურმან კვარაცხელიას მიერ /ამჟამად აფხაზეთის

ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ფრაქცია “ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს” თავმჯდომარე აფხაზეთში მიმდინარე საომარი ქრონიკების მიხედვით დაწერილი წიგნიდან “ო, აფხაზეთო”... თეატრალიზებულ დადგმაში მონაწილეობდნენ მოსწავლეები: ქეთი ჭალისური, მარიამ კაციაშვილი, ანზორ დალაქიშვილი, ანა ბაისონაშვილი, მაია თაბუაშვილი, მარიამ და ლუკა მერებაშვილები, თამარ გოჭოშვილი, მიხეილ და სალომე სამხარაძეები, ლუკა სპანდერაშვილი.

ღონისძიებას სტუმრობდნენ კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელი გოჩა გოჩიშვილი, სამთავის-კასპის ეპარქიის ეპისკოპოსი, მეუფე დამიანე და სხვა ოფიციალური პირები.

კასპის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანება.



აფხაზეთა ერთ ნაწილს შორის მბრუნებდა, უამრავი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. აფხაზ სეპარატისტებს აქტიურად ეხმარებოდნენ ადგილობრივი სომხები /ბაგრაშიანის სახელობის ბატალიონი/, დაქირავებული მებრძოლები ჩრდილოეთ კავკასიიდან, კახაკია შეიარაღებული მილიციის

დაცემის დღეს ჩვენი ქვეყნის ქალაქებსა და დასახლებულ რეგიონებში იკრებოდა ქართველი საზოგადოებრიობა, ეწყობა სამგლოვიარო და მშვიდობიანი მანიფესტაციები, რომლითაც პატივს მიაგებენ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა ხსოვნას. ასე იყო

ლევები და ახალგაზრდები, რომლებმაც წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს მამაცურად დაღუპულ მეომრებს და ყვავილების გვირგვინებით შეამკეს დიდების მემორიალი... მოგვიანებით ქალაქის ცენტრში დაწყებულმა დაღუპულთა ხსოვნისადმი მიძღვნილმა მსვლელობამ გიორგი ხორგუაშვილის

## გამართული ქართული

# ღრმა, უნაპირო, ბრძენი...

ქართული ენა არის ღრმა, უნაპირო, ბრძენი, თავმდაბალი და მიუწვდომელი, ვითარცა გონება და სიყვარული. მისი სათავე ისევე უცნობია, როგორც მელქისედეკ მამამთავრისა. მასშია მთელი საქართველო. გაზაფხულზე გაშლილი ვარდით მშვენიერია იგი და ახლადამოსული მზის ცხოველსმყოფელი სხივივით საამო, ცისფერია მისი სამოსი, ზეცაა მისი საწყისი, უფალია მისი მშობელი და მფარველი. სიტყვა მისი მჭრელია, ვითარცა დავით აღმაშენებლის ხმალი, ძლიერია, როგორც სვეტი ცხოველი და ნაზი, ვით ყვავილზე მარგალიტად დაკიდული დილის ნამი.

ილია მეორე, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი.

სექტემბრის ბოლოს კასპის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკების გაერთიანების მთავარი ბიბლიოთეკის ინიციატივითა და ორგანიზებით ჩატარდა თემატური ღონისძიება სახელწოდებით “ეწეროთ და ვიმეტყველოთ ქართუ-



ლად”... თემატური ღონისძიებაზე მოწვეული იყვნენ ქალაქის საჯარო სკოლების მოსწავლეები და ფილოლოგები, ბიბლიოთეკის მუშაკები, პრესის წარმომადგენლები.

მოსწავლეების, მასწავლებლების, ენის სპეციალისტთა და პრესის წარმომადგენელთა შეხვედრა

კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა და ორსაათიან პაექრობაში ნათლად გამოიკვეთა ცხადზე უცხადესი, რომ ქართული ენა დღეს სავალალო მდგომარეობაშია, ბარბაროზების (კასტინგი, კრუტული, კორექცია, ბენეფიციარი და კიდევ სხვა მრავალი) მოძალბა, ქუჩის ენის, მდარე სამეტყველო კულტურის დამკვიდრება და ქართული ენის გამოყენებაზე უარის თქმა ნამდვილად არ გვიქადის სიკეთეს და რაც არ უნდა იყოს ამის მიზეზი, ფაქტია, რომ ქართულ ენას დაცვა სჭირდება... არადა, ყველას კარგად მოეხსენება, რომ საუკუნეებამოვლილი ენა ქართული, მსოფლიოში ერთ-



ერთი უძველესი და უმდიდრესია, იგი ჩვენი ეროვნული განძია, რომლის მსგავსი დღევანდელი მსოფლიოში არც არასრული გვგ.



# სად არიან უსპელო სამბოელნი?

მკითხველი-სათვის სათაურიდანვე მისახვედრია, თუ რას შეეხება ჩვენი წერილის ლაიტმოტივი. დიას, სიტყვა კვლავ სამბოელებს უნდა შევაწიოთ. მათ უამრავ ვერ გაუმართლებიათ ნებისმიერი, პრეტენზიული თუ უპრეტენზიო, გულშემატკივრის მოლოდინი სასახელო გამარჯვებებით. ჩვენებური მოჭიდავეებიდან მხოლოდ სამბოელებმა გადმოიხედეს მსოფლიო პირველობათა კვარცხლბეკიდან. საეკვროპო წარმატებანი ძიუდოსტების წილადაც მოდის. ამიტომაც, რომ ქართული სპორტის მუზეუმში (ქ. თბილისი) კასპელები სამი სამბოელითა (მაღალაშვილი, ჯანაშვილი, გამხიტაშვილი) და ერთი ძიუდოსტით (ობაიძე) არიან წარმოდგენილი.

და კახა მამულაშვილი. ისინი, თავიანთი ასაკის კვალობაზე, საემოდამოცილი სპორტსმენები არიან: პირველი 26 წლისაა, მეორე - 27, ხოლო მესამე 31 წლისა. ანუ, ძალიანაც რომ გვეწადლოს მათი სპორტული კარიერის გახანგრძლივება, რეალობა აშკარა და ნათელია, დღეს თუ ხვალ ისინი სარბიელს ძალაუფლებურად უგანებენ, საჭიდაო ჩოხებს გაიხდიან. მივესალმებით მათგან ყველაზე ასაკოვანის შემართებას - მამულაშვილი წლების მატებას არ ეპუება და მისეული სინაუქე ჯერაც გადამდებია, მაგრამ ხომ ცხადია, რომ მოჭიდავეთა ახალი ტალღა მოდის და მისებრ ნაცადებსაც ახლო მომავალში ჩაანაცვლებენ.

პოდა, ჩვენც აქ ვართ, ჩვენი სათქმელი სახვადიო ფიქრით არის დამბიბებული: მოდიან თუ არა ასაკცირენი, ის ყმაწვილ-ჭაბუკნი, ვინც მათ ღირსეულ ჩამსაცვლებლებად წარმოგვიდგებიან? იქნებ საკითხში ღრმად ჩახედული ოპონენტები მრავლად ბრძანდებიან და ახალთაობელი სამბოელების გვარებიც უმაღლეს მოგვაშველონ.

გაჭირდება ამისი ქმნა, რადგანაც ასეთი ნაკრებები რეალურად არსებობს და თითოეულში, წონითი კატეგორიების მიხედვით, არც მეტი და არც ნაკლები, 10-10 მოჭიდავე შერჩეულიც არის. ისინი მაღალი დონის შეჯიბრებებში გამოდიან და ოსტატებიან. ასაკის მომატების კვალობაზე ჭაბუკნი თანდათან ინაცვლებენ ახალგაზრდულ ნაკრებში, მისი წევრები კი ეროვნულ გუნდს აძლიერებენ. მწვრთნელები წინსვლის საშუალებას, რა თქმა უნდა, მხოლოდ ღირსეულებს აძლევენ.

აქ უპრიანი იქნებოდა, ორივე გუნდაც კახა მამულაშვილი და მისი მსგავსნი წევრები გაეგვარებინა, მაგრამ სიტყვაზე უნდა გვენდოთ: 20 მოჭიდავიდან ჩვენებური მხოლოდ... ერთი



ასეთი ნაკრებები რეალურად არსებობს და თითოეულში, წონითი კატეგორიების მიხედვით, არც მეტი და არც ნაკლები, 10-10 მოჭიდავე შერჩეულიც არის. ისინი მაღალი დონის შეჯიბრებებში გამოდიან და ოსტატებიან. ასაკის მომატების კვალობაზე ჭაბუკნი თანდათან ინაცვლებენ ახალგაზრდულ ნაკრებში, მისი წევრები კი ეროვნულ გუნდს აძლიერებენ. მწვრთნელები წინსვლის საშუალებას, რა თქმა უნდა, მხოლოდ ღირსეულებს აძლევენ.

## ახალი წიგნები



კასპის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის გაერთიანების საქალაქო ბიბლიოთეკაში (ქეჩარუსის დასახლება, სააკაძის 59) მიღებულია ახალი წიგნები.

მკითხველებს გავაცნობთ ახალი წიგნების ჩამონათვალს:

100 ადამიანი - ავატა კრისტი; ალექსანდრე მაკედონელი; გალილეო გალილეი; დალი ლამა; ჩე გევარა; ზიგმუნდ ფროიდი; იოანე პავლე მეორე; კაზანოვა; და ვინჩი; ლი კუან იუ; ნელსონ მანდელა; მათ ძელუნი; მარია კალასი; მარია კიური; მუსოლინი; ნიკოლო პაგანინი; პიკასო; ფიშერი; რუალ ამუნდსენი; შარლ დე გოლი; ჩარლზ დარვინი; ჯუზეპე ვერდი; დოსტოევსკი - "ემმაკნი" (1 ნაწილი); "ემმაკნი" (2 ნაწილი); დოსტოევსკი - "ყმაწვილი" (1 ნაწილი);

კასპის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის გაერთიანება.

## გამართული ქართული

### ღრმა, უნაპირო, ზრძენი...

დასასრული ლიოს ყველა ერს არ გააჩნია. ეს საუნჯე ახლა არ შექმნილა, იგი ჩვენმა წინაპრებმა შექმნეს და ერთ-ერთი მისი გულუბნის ფასად მოიტანეს, რათა დღეს ჩვენ ქართულ ენაზე გვემტყუებოდა და შეგვენარჩუნებინა ჩვენი თვითმყოფადობა.

გაუნათლებლობის, უწიგნურობის ერთ-ერთი ნიშანია და ამის აღმოსაფხვრელად სკოლამ, ოჯახმა და საზოგადოებამ ერთად უნდა იზრუნოს... მშობლიური ენის სიწმინდისათვის ბრძოლა სკოლებისათვის რომ ერთ-ერთი პრიორიტეტულია, გარკვევით განაცხადებს შეხვედრაზე გამოსულმა ფილოლოგებმა მანანა ყაბანაშვილმა,

გულო გიგაურმა, ელიზა ბასილიძემ. უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ლონისძიებს ესწრებოდნენ სკოლების მოსწავლეები: მარი ბუჩიჭაშვილი, ქეთი ბერიანიშვილი, ლიკა გამხიტაშვილი, ნათია მაისურაძე, ქეთევან გოგიბერიძე, მარიამ მიქელაძე, დავით მამაცაშვილი, რომლებმაც დამსწრე საზოგადოებასთან ერთად აღიარეს, რომ ქართულ

ენას გაფრთხილება და დაცვა სჭირდება. ლონისძიებს უძღვებოდა მთავარი ბიბლიოთეკის მენეჯერი მაია მარჯანიძე, რომელმაც გულითადი მადლობა გადაუხადა შეხვედრაზე მოწვეულ სტუმრებს, განსაკუთრებით კი, მოსწავლეებს აქტიურობისათვის, დაბოლოს, ჩატარებული ლონისძიება დადებითად შეაფასა ბიბლიოთეკების გაერთიანების დირექტორმა თეატრალური მუშაობის პალიტიკის ბიბლიოთეკების გაერთიანება.

## წაიკითხოთ საინტერესო თემებზე

კარგა ხანია ვრდობოთ თქვენთვის საინტერესო თემებზე გესაუბროთ, უფრო სწორად, ისეთ რამებზე და ისეთ ვინებებზე, რომელთა შესახებ მშობლებს ეზარებოთ (ან არ სურს იათ) რომ გაიზრდონ. თქვენ ახლა უფრო მეტი იფიქროთ მარტინ და თუ ხშირად ნაიკითხავთ ჩვენს გაზეთს, მართლაც, მეტრ საინტერესო და სა-

სიამოვნო სიახლეს შეიტყობთ მსოფლიოში გაფანტულ საზღვრო მუზეუმებსა და ატრაქციონებზე, ნაყოფებსა და სხვადასხვა სახის სურსათზე და ჯერ აღმოჩენილ საგანძურებზე ....

მომზადდით რედაქციის მიერ! გააფორმეთ სელი მონერა, დატოვეთ თქვენთვის საინტერესო შეკითხვები და უახლოეს ნომერში მიიღებთ პასუხს.



რით შეიძლება დაიწყო თხრობა ძველი თბილისის აბანოების შესახებ და გააოცო საუკუნეში მცხოვრები ბევრისმნახველი მოგზაური? თემები მრავლადაა: სახალისო ისტორიული აბანოები; თავშესაქცევი, მაგრამ გაცვეთილი ლეგენდა; გოგირდის წყლის სასწაულოქმედი თვისებები; ფერადი აზიური არქიტექტურა და სხვა. ამ ყველაფერზე აუცილებლად გაიმბობთ, მაგრამ თბილისური აბანოების მთავარი ღირსება ეგზოტიკური განწყობილება და კათარზისის მსგავსი განცდაა, რომელიც სტუმარს აღარასოდეს ავიწყდება.

წარმოვიდგინოთ, აღმოსავლურ ზღაპრებში აღწერილი სამყარო? თბილისურ აბანოში მოხვედრილს თავი გამოგონილ სივრცეში გეგონებათ. ეს გარემო, რბილი წყალი და მექისის მარჯვე ხელები თქვენს სხეულსა და სულს ერთიანად გაასუფთავებს და გარდაქმნის. აბანოდან გამოსული იფიქრებთ, რომ ის ადამიანი აღარ ხართ, რომელიც მანამდე იყავით - ეს მთავარი შთაბეჭდილებაა, ყველაზე ხშირად რომ გვხვდება მოგზაურთა ჩანაწერებში.

როგორც ქართველი მწერალი იოსებ გრიშაშვილი აღნიშნავს, თუ თბილისში ყოფნისას გოგირდის აბანოში არ განიბანები, ეს დაახლოებით იგივეა, რომ პარიზში ჩასულმა ეიფელის კოშკი არ ნახო.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს დედაქალაქის ისტორიულ შუაგულში, მდინარე მტკვრის სანაპიროზე თვალში მოგხვდებათ სრულიად განსხვავებული, სპარსული არქიტექტურული იერის ნაგებობები. აქ, უნიკალურ თერმულ აბანოებში მიწის სიღრმიდან მოედინება ცხელი წყლის ნაკადი, რომელიც დიდი რაოდენობით გოგირდწყალბადს შეიცავს. მას ხშირად იტალიის ტივოლის რეგიონის წყლებს აღარაბენ.

გოგირდოვანი წყაროები მთელ თბილისში მრავლადაა, მაგრამ უმეტესად იმ ნაწილშია თავმოყრილი, რომელსაც აბანოთუბანი ჰქვია. ლეგენდა თერმული წყლების აღმოჩენის შესახებ და მისი ფანტასტიკური ვერსიები საინტერესო და მრავალნაირია: 1500 წლის წინ სანადიროდ გამოსული ქართლის გოლიათი მეფე ვახტანგი ხოხობს (ან ირემს) ისარს სტყორცნის; ნანადირევი წყალში ვარდება და იქიდან სასწაულებრივად განკურნებული ამოდის; სხვა ვერსიით ფრინველი (ცხოველი) ხელშეიფის ამაღის წვერებს წყლიდან მოხარშული ამოაქვთ. მეფე ამ ადგილას ქვეყნის ახალი დედაქალაქის გაშენებას ბრძანებს, რომელსაც ტფილი წყლების გამო ტფილისი უნდა ეწოდოს. თუმცა, არქეოლოგიურმა გათხრებმა დაა-

დასტურეს, რომ აქ დასახლება ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში არსებობდა. ასე რომ, ამ შემთხვევაში სინამდვილე უფრო ძველია, ვიდრე ლეგენდა. ისტორიულ დროებაში თბილი წყაროები კლდეში გამოკვეთილ აბაზანებში ჩაედინებოდა. მერე და მერე მათ ირგვლივ პატარა საბანაო სახლები შენდებოდა.


საუკუნის არაბი მოგზაური იბნ ჰაუკალი თბილისურ აბანოებს ტიბერიადაში ნანახ აბაზანებს ამსგავსებს, წერს, რომ წყალი უცეცხლოდ დღეს და მის სამკურნალო თვისებებს აღწერს. საუკუნის ისტორიული საბუთები გვამცნობს, რომ საქართველოს დედაქალაქში 65 სამკურნალო აბანო ყოფილა. თბილისის თერმულ წყლებზე იტალიელი მარკო პოლოც (-) გვიამბობს თავის მოგზაურობაში. საუკუნეში გოგირდის აბანოებს კავკასიაში სტუმრად მყოფი ალექსანდრე დიუმა ალუფროთოვანებია. 1829 წელს კი ალექსანდრე პუშკინი წერდა, ჩემს სიცოცხლეში თბილისის აბანოებზე დიდებული რამ არც რუსეთსა და არც თურქეთში არ მინახავსო.

შუა საუკუნეების ბოლოს აღმოსავლური არქიტექტურის გავლენით აქ თურქებმა, სპარსებმა და ქართველებმა მკვიდრი აბანოების აგება დაიწყეს. ისინი არისტოკრატიულ ოჯახებსა და მდიდარ ვაჭრებს ეკუთვნოდათ, მაგრამ იქ საბანოდ ქალაქის ყველა ფენის მოსახლეობა დადიოდა. ამჟამინდელი აბანოები - საუკუნეებშია აშენებული და საუკუნის მცირეოდენ ცვლილებებს თუ არ ჩავთვლით, თითქმის პირვანდელი სახითაა შემორჩენილი. აბანოთუბანში რამდენიმე ისტორიული აბანოა. საითათოდ ყოველ მათგანს თავისი თავყვანისმცემლები ჰყავს. ზოგს აბანო №5 მოსწონს (მას აქვს ყველაზე ელიტარული და ძვირადღირებული განყოფილება), ზოგს სამეფო, ზოგს ჭრელი და ა. შ. დღემდე, ძველი მეპატრონეების გამო, აბანოებს შემორჩათ სახელწოდებები: ერეკლეს, ორბელიანების, ბებუთოვების, ზუბალოვების და ა. შ.

აბანოები ქალაქური ეთნოკულტურის უმნიშვნელოვანესი ელემენტია. წარსულში ისინი არა მხოლოდ სამკურნალო თუ ჰიგიენური დანიშნულების, არამედ ერთგვარი კლუბური თავშეყრის ადგილები გახლდათ; თბილისი ყოველთვის მრავალეროვანი და მულტიკულტურული ქალაქი იყო; აბანოში სხვადასხვა სარწმუნოების ადამიანები ერთად დადიოდნენ, იქ მთელ დღეს ატარებდნენ, მასლათობდნენ, იღვნიდნენ. საუკუნემდე უცნაური ტრადიცია არსებობდა: აბანოებში ერთი დღე ქალები დადიოდნენ და ერთი დღე მამაკაცები - მონაცვლეობით.

მიწიდან ამოზრდილი ფერადი აზიური გუმბათები და ნაგებობები გვიანი შუა საუკუნეების აღმოსავლური არქიტექტურის უმშვენიერეს პანორამას ქმნიან.

ს ს ვ ა დ ა ს ს ვ ა ფ რ ა დ მოპირკეთებული ჭრელი აბანოს ფასადი და სხვა აბანოების გუმბათები გარემოს ახალისებს. ნახევარსარდაფის ტიპის ინტერიერი ფერადი, მოჭიქული კერამიკითა და მარმარილოთია მორთული. აქ აზიური ფერადონება, მოზაიკის კედლები და ქვის სკამლოგინები დაგხვდებათ. გუმბათების ცენტრს დიდი შემინული გადახურვა ამშვენებს, რომელიც სარკმლის ფუნქციასაც ასრულებს. იქიდან აბანოების შიდა სივრცეში შუქი ეცემა, რაც იქაურობას საიდუმლო იერს სძენს. ნახევრად სობნელე, ძველადმოსავლური გარემო და გოგირდის სპეციფიკური სუნი აბანოში მოხვედრილ სტუმარს ისეთ შეგრძნებას უჩენს,



თითქოს იგი დროის მიღმა გადაისროლეს.

ყოველ კაბინეტში არის ქვის აუზი, რომელიც ცხელი გოგირდოვანი წყლითაა სავსე. სასურველია, წყალი უფრო ცხელი იყოს, ვიდრე თბილი. ასეთ ტემპერატურაზე მისი სამკურნალო თვისებები მეტად ეფექტურია. თბილისის გეოთერმული წყალი ძალიან რბილია; ის დიდი რაოდენობით შეიცავს ბრომსა და იოდს. როგორც კი აბაზანაში აღმოჩნდებით და თქვენს სხეულზე გოგირდწყალბადის ზემოქმედებას იგრძნობთ, მაშინვე სიმსუბუქის განცდა დაგეუფლებათ, თითქოს ყველა ავადმყოფობა, ყველა უარყოფითი ემოცია ერთი ხელის მოსმით გაქრას. დადგა ნამდვილი ნეტარების დრო.

მანამდე კი... მანამდე აუცილებლად მექისეს უნდა მოუხმოდ. შხაპის მიღების შემდეგ, სანამ აბაზანაში ჩაფურცულეალებით, ჯობს, უძველესი სპა პროცედურა ჩაიტაროთ, რომელსაც შემოკლებით ქისას უწოდებენ. ამ და-

სახსრების, ხერხემლის მალების ე. წ. გახსნის ხელოვნებას, თუმცა, როგორც ამბობენ, თანამედროვე მექისეების ოსტატობა ბევრად ჩამოუვარდება მათი წინაპრების უნარებს. ყოველ შემთხვევაში, ქისა და შემდგომ აბაზანა - ეს უნიკალური კომბინაციაა, რომელიც ერთდროულად იწვევს ენერჯის მოზღვაებას, სიმსუბუქესა და სიცოცხლის მშვენიერების შეგრძნებას.

გოგირდოვანი წყლის სამკურნალო თვისებები რომ შეიგრძნოთ, ამისათვის, ექიმთან შეთანხმებით, სულ მცირე 10 აბაზანა მაინც უნდა მიიღოთ, რომელიც შეიძლება 7-იდან 15 წუთამდე გაგრძელდეს. ორი აბაზანის შემდეგ ერთი დღე უნდა დაისვენოთ. ხერხემლის, სახსრებისა და კუნთების ტკივილი, კანის დაავადებები, ალერგიული გამონაყარი, ართრიტი, რევმატიზმი - ამ დაავადებებისას გოგირდის თერმული წყლები უეხარია, მაგრამ მოერიდეთ ცხელი აბაზანის მიღებას, თუ გული და ჰიპერტენზია გაწუხებთ.

დღესდღეობით თბილისურ აბანოებში ტრადიციული მოსახურების გარდა, განსხვავებული სპა პროცედურებითაც შეგიძლიათ ისიამოვნოთ, არააღმოსავლური მასაჟი ჩაიტაროთ და საუნასაც ესტუმროთ.

აბანოებში არის საერთო ღარბანები, კაბინეტები და ლუქსორები - აქ, ჯობს, ადგილი წინასწარ დაჯავშნოთ. გაითვალისწინეთ, რომ ზოგჯერ აბანო რემონტის გამო დახურულია და ამის შესახებ ინფორმაცია წინასწარ მიიღეთ. და რაც მთავარია, არ დაგავიწყდეთ, მიიღოთ ადმოსავლურად დაყენებული ჭიქა სურნელოვანი ჩაი, რომელიც გოგირდის აბანოს ატმოსფეროს ძალიან უხდება.

ბანა - გახეხვა - დაზღვის რიტუალს საქართველოში ყოველთვის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. მექისის ანუ მასაჟისტის პროფესია დიდ გამოცდილებასა და ოსტატობას ემყარება. ამ ხელობის ადამიანები უმთავრესად არაქართველები იყვნენ (თურქები, აზერბაიჯანელები) და ტრადიცია დღესაც გრძელდება.

არსებობდნენ ლეგენდარული მექისეები, რომლებსაც დღემდე იხსენებენ. მექისეები ხშირად ჩნდებიან ლიტერატურაში და კინოში. ერთ-ერთი მათგანის, ბაბაჯანას შესახებ ანიმაციური ფილმიც კი გადაიღეს, რომელიც რამდენიმე საერთაშორისო ფესტივალის პრიზიორია.

ქისა მექისის ერთგვარი იარაღია. ის უხეში ბუნებრივი ქსოვილისაგან იკერება და ჭუჭყის მოცილების გარდა, სხეულის დაზღვისა და ფორების გაფართოების ფუნქცია აქვს. მექისე ფლობს მყესებისა და კუნთების გაწევის, ასევე

# შ.პ.ს. "ჰაიდელბერგს-მენტსეიმენტი" კანონი სუბსიდირებული კარხანა ახსნადას პაქანსიას

შ.პ.ს. "ჰაიდელბერგს-მენტსეიმენტი" კანონი სუბსიდირებული კარხანა ახსნადას პაქანსიას

გთხოვთ, ნახმადგინოთ თქვენი ხეხილუმი ადამიანური ხესხის მართვის ექსპერტის ა/ნის 7 ნომრის ჩათვლით შემდეგ მისამართზე:  
ქ. კანონი, ფაქანსიას ქ. №2.  
E-mail: maia.Kaciashvili@heidelbergcement.ge

## გილოჯავთ! გილოჯავთ!

ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი - მერი გმირიაშვილი ულოცავთ დაბადობისა და გილოჯავთ!

ნაწიკანის მუნიციპალიტეტის სოფელი ზემო ხარაზის დაბადობისა და გილოჯავთ!



ზნობრივი მკვლევარი იყო და არის მონაწილეობისათვის.



სწავლის დასრულების შემდეგ იყო მწიგნობარი და მღვდელი.

### გამოგვიმზადეთ!

მუნიციპალიტეტის ცენტრში ანტიკონსერვაციული ცენტრის დახმარებით თქვენს დაბადობის დღესასწაულს აღსანიშნავად დაგეგმილად გვსურს, რომ თქვენს დაბადობის დღესასწაულს აღსანიშნავად დაგეგმილად გვსურს...



მეგობრებო, მადგანოთ თქვენი ილომის, შვილიშვილების დაბადობის დღესასწაულს აღსანიშნავად დაგეგმილად გვსურს...



ჩვენს ქვეყანაში შემოსული წერილები ამ დღეებშია დასაწყობებული და გამოქვეყნებული.

რედაქციის ხელმძღვანელებს თხოვთ, რომ კარხანის პირდაპირად დაგეგმილად გვსურს...

რედაქციის ხელმძღვანელი ნანა შარვაშიანი. 2600 ქ. კანონი, საბაძიას ქ. № 68. ტელეფონი 22-25-76